2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

წინასაარჩევნო მონიტორინგის I შუალედური ანგარიში

(1 აგვისტო - 8 სექტემბერი)

13 სექტემბერი, 2018

ამ დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) მეშვეობით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ „სამართლიან არჩევნებს“ და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, აშშ მთავრობის ან NED-ის შეხედულებებს.

სარჩევი

I. შესავალი 2

II. ძირითადი მიგნებები 2

III. რეკომენდაციები 5

IV. საარჩევნო ადმინისტრაცია 7

V. მედია გარემო 13

VI. სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა/მუქარა 17

VII. ფიზიკური დაპირისპირება 17

VIII. სავარაუდო მოსყიდვისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მცდელობები 18

IX. წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისთვის ხელის შეშლა 21

X. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გავრცელების წესის დარღვევა 22

XI. საბიუჯეტო ცვლილებები მუნიციპალიტეტებში 22

XII. სადამკვირვებლო მისია და მეთოდოლოგია 32

I. შესავალი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების გრძელვადიან წინასაარჩევნო დაკვირვებას ა/წ 1 აგვისტოდან ახორციელებს. 10 აგვისტოდან მონიტორინგში ჩართულია ორგანიზაციის **69** გრძელვადიანი დამკვირვებელი მთელი საქართველოს მასშტაბით. მონიტორინგი ხორციელდება შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) მხარდაჭერით. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში მოიცავს, ძირითადად, **1 აგვისტოდან 8 სექტემბრის** ჩათვლით პერიოდს, აგრეთვე მოვლენებს, რომელთა განვითარება 1 აგვისტომდე დაიწყო და მონიტორინგის პერიოდშიც მიმდინარეობდა. ამავე ანგარიშში წარმოდგენილია პირველადი ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო კომისიების დაკომპლექტების პროცესის შესახებ, რომელიც 12 სექტემბრამდე მიმდინარეობდა.

II. ძირითადი მიგნებები

1 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღად 28 ოქტომბერი განსაზღვრა. ოფიციალური საარჩევნო კამპანია 29 აგვისტოს, კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე დაიწყო, თუმცა პოლიტიკური პარტიების და მომავალი კანდიდატების ნაწილი წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდეც აქტიურად ხვდებოდნენ ამომრჩევლებს.

ორგანიზაციის დაკვირვებით, 8 სექტემბრამდე პერიოდში გამოვლინდა: **ფიზიკური დაპირისპირების 1; სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა-მუქარის 1; სავარაუდოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობის 8; კამპანიისთვის ხელის შეშლის 2; და ბეჭდვითი მასალის წესის დარღვევის 1 ფაქტი.** გარდა ამისა, ორგანიზაციის დამკვირვებლებმა, დააფიქსირეს სხვადასხვა სახის **7 ინციდენტი საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესში.** საყურადღებო იყო **საბიუჯეტო რესურსების სავარაუდო მობილიზების შემთხვევები 31 მუნიციპალიტეტში**.

საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრებით დაკომპლექტებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსები. ცესკომ საოლქო კომისიის დროებითი წევრები საარჩევნო კოდექსით დადგენილი ვადების შესაბამისად შეარჩია. „სამართლიანმა არჩევნებმა“ დაადგინა, რომ 73 საოლქო კომისიაში შერჩეული დროებითი წევრებიდან **14 შემთხვევაში გამოიკვეთა შერჩეული პირების ნათესაური კავშირები საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირებთან, ხოლო 8 შემთხვევაში საოლქო კომისიებში პ/გ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ან აქტივისტი აირჩა.**

საოლქო საარჩევნო კომისიებში პროფესიულ წევრებად პარტიული აქტივისტების დანიშვნა საფრთხის ქვეშ აყენებს საარჩევნო კომისიებისადმი ნდობას და კითხვის ნიშნებს აჩენს ადმინისტრაციის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ნათესაურ კავშირებს, მართალია საარჩევნო ადმინისტრაციის სხვა თანამდებობის პირებთან ნათესაური კავშირი შესაძლოა არ იყოს საოლქო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატის დისკვალიფიკაციის

საფუძველი, დროებით წევრებად ნათესავების დანიშვნის შემთხვევების სიმრავლე და გადაწყვეტილების მიღების ბუნდოვანი პროცესი აჩენს კითხვებს ნეპოტიზმის შესახებ.

პრობლემური იყო ასევე, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსის პროცესი. კონკურსის გამოცხადებას წინ უძღვოდა კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სატელეფონო საუბრის გახმაურებული ჩანაწერის გავრცელება, რომლის თანახმად, სავარაუდოდ, ოლქის თავმჯდომარე ადასტურებდა, რომ ის საუბნო კომისიების კანდიდატურებს „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსთან ათანხმებდა. ჩანაწერების გავრცელების შემდგომ საოლქო კომისიის თავმჯდომარემ თანამდებობა დატოვა.

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებთან გასაუბრების მოთხოვნა 45 ოლქში იქნა დასმული საოლქო კომისიებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) წევრების მიერ, რომელთაგან არცერთი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და კომისიურად გასაუბრება არც ერთ ოლქში არ ჩატარებულა.

ნაციონალური მოძრაობის მიერ დანიშნულ წევრებს ყველა ოლქში მიეცათ კანდიდატებთან გასაუბრების დამოუკიდებლად დანიშვნის შესაძლებლობა, თუმცა კონკურსანტთა უმრავლესობა გასაუბრებაზე არ მივიდა. „სამართლიანი არჩევნებისთვის“ ცნობილი გახდა, რომ რიგ ოლქებში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებს ადგილობრივი ხელისუფლების და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, გასაუბრებებში მონაწილეობა არ მიეღოთ. ზოგიერთ ოლქში ადგილი ჰქონდა საოლქო კომისიის დანარჩენი წევრების მიერ გასაუბრებების ჩატარებისთვის ხელის შეშლის და სიტყვიერი დაპირისპირების ფაქტებს.

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, 73-ვე ოლქში საუბნო კომისიის წევრთა შერჩევის პროცესი მსგავსი სცენარით წარიმართა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებში დანიშნულმა წევრებმა კომისიის სხდომაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. შესაბამისად, ოლქებში კონკურსანტების კენჭისყრაში კომისიის 9-10 წევრი მონაწილეობდა. ტენდენციას წარმოადგენდა ის, რომ კომისიის პროფესიული ნიშნით და „ქართული ოცნების“ დანიშნული წევრები კენჭისყრისას ერთსა და იმავე კანდიდატებს უჭერდნენ მხარს, ხოლო საოლქო კომისიის წევრები „პატრიოტთა ალიანსიდან“ ხმას განსხვავებულად აძლევდნენ. 25 საოლქო საარჩევნო კომისიაში კომისიის წევრები გადაწყვეტილებას იღებდნენ წინასწარ მომზადებული სიებით, თუმცა განმარტავდნენ, რომ კანდიდატთა სიის სამუშაო ვერსია კანდიდატების განაცხადების გადარჩევის შემდეგ გააკეთეს.

რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა, სავარაუდოდ, ამომრჩევლის გულის მოგების მიზნით მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა ღონისძიებების ინიცირება, რომელიც ამომრჩევლის მოსყიდვისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების რისკებს აჩენს. ამასთან, დაფიქსირდა ფაქტები, სადაც ადგილი ჰქონდა საარჩევნო კამპანიაში საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციების სავარაუდო ჩართულობას, რაც საარჩევნო კოდექსით მსგავსი ტიპის ორგანიზაციებისთვის აგიტაციაში მონაწილეობის აკრძალვას არღვევს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მსგავსად, მნიშვნელოვანი საბიუჯეტო ცვლილებები განხორციელდა მუნიციპალიტეტებში. 29 აგვისტოდან კანონით აკრძალულია ახალი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების ინიცირება და შესაბამისი ცვლილებები სახელმწიფო, აჭარის ა/რ და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებში. შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება ის გარემოება, რომ რიგი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მაისის თვიდან აქტიურად

ხორციელდებოდა, ხოლო სახელმწიფო და თვითმმართველობის ბიუჯეტებით განსაზღვრული სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტები ისეა დაგეგმილი, რომ მათი ძირითადი აქტივობები, ხშირად საარჩევნო კამპანიის პერიოდს ემთხვევა. აღნიშნული ფაქტები ქმნის განცდას, რომ საარჩევნო პერიოდში ამ ტიპის პროექტების გააქტიურება და მათი დაგეგმვა მიმართულია არჩევნების წინ ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. შესაბამისად, ადგილობრივ ბიუჯეტებში მასშტაბური ცვლილებები აჩენს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების განცდას და ხელს არ უწყობს არჩევნების წინ თანასწორი საარჩევნო გარემოს დამკვიდრებას.

კრიტიკას იმსახურებს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დაჯარიმების შესახებ, იმის გამო, რომ მარეგულირებლის შეტყობინების გარეშე არასაარჩევნო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში გადაიცა ფასიანი პოლიტიკური რეკლამა. აღნიშნული შეტყობინების ვალდებულება მაუწყებლებს მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნებამდე 50 დღით ადრე აქვთ. კომისიის გადაწყვეტილებამ შესაძლოა მსუსხავი ეფექტი იქონიოს მაუწყებლებზე, რომელთაც პოტენციურად შეიძლება თავი შეიკავონ პოლიტიკური/წინასაარჩევნო ხასიათის რეკლამის განთავსებისგან არასაარჩევნო პერიოდში.

ასევე, საშიშ პრეცედენტს წარმოადგენს კომისიის მიერ მაუწყებლებისთვის გაგზავნილი შეტყობინება, რომლითაც ტელეკომპანიებს დაევალათ გადაამოწმონ არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების სანდოობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ფულადი ჯარიმის გადახდა დაეკისრებათ. კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია აღნიშნული გადაწყვეტილებებით კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კომისიის უმთავრეს ფუნქციას - ხელი შეუწყოს მედია პლურალიზმის განმტკიცებას, უზრუნველყოს თანაბარი მედია გარემო და ამომრჩევლისთვის ინფორმაციაზე წვდომის უფლება.

მედია პლურალიზმის კუთხით საფრთხის შემცველია ტელეკომპანია „იბერიას“ ირგვლივ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები. ტელეკომპანიის დამფუძნებლები ხელისუფლებას გარიგების შეთავაზებაში ადანაშაულებენ, რომლის თანახმად, ტელეკომპანიის დათმობის სანაცვლოდ დამფუძნებლების ბიზნესს ფინანსური დავალიანების პრობლემა აღმოიფხვრებოდა.

არასაკმარისად დასაბუთებულ და სარისკო შთაბეჭდილებას ტოვებს საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის გადაწყვეტილება თანამშრომელთა ნაწილისთვის შრომითი ხელშეკრულების პირობების ცალმხრივად შეცვლის თაობაზე, ვინაიდან არხზე მომუშავე სხვა ჟურნალისტებისთვის შრომითი გარანტიები მინიმალური ხდება, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს მათ მიუკერძოებლობაზე და მეტად დამოკიდებული გახადოს არხის მენეჯმენტის პოლიტიკურ შეხედულებებზე.

III. რეკომენდაციები

საარჩევნო ადმინისტრაციას

- აღკვეთონ ყველა დონის საარჩევნო კომისიებში პოლიტიკური ინტერესების გატარება და უზრუნველყონ, რომ კომისიის წევრებმა არ იქონიონ კომუნიკაცია პოლიტიკურ პარტიებთან ან მათ წარმომადგენლებთან.

კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას

- კომისიამ უნდა გამოსცეს განმარტება და შეცვალოს საკუთარი მოთხოვნა მაუწყებლების საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გადამოწმებასთან დაკავშირებით.
- ნაცვლად მაუწყებლებისთვის არაპროპორციული მოთხოვნების წაყენებისა, ხელი შეუწყოს მედია პლურალიზმის განმტკიცებას, უზრუნველყოს თანაბარი მედია გარემო და ამომრჩევლისთვის ინფორმაციაზე წვდომის უფლება.

პოლიტიკურ პარტიებს და საარჩევნო სუბიექტებს

- პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა თავი უნდა შეიკავონ ოპონენტი პარტიების/კანდიდატების საჯარო შეხვედრებზე საკუთარი მხარდამჭერების მობილიზებისა და დასწრებისგან, არ უნდა დაუშვან საკუთარი მხარდამჭერების მიერ სხვა საარჩევნო სუბიექტების შეხვედრებისა და კამპანიური აქტივობებისთვის ხელშეშლა.
- აღკვეთონ ამომრჩეველთან ურთიერთობის იმგვარი ფორმები, რომელიც წარმოქმნის ამომრჩევლის მოსყიდვის რისკებს.
- საარჩევნო კომისიებში პარტიების მიერ დანიშნულ წევრებს არ მისცენ პოლიტიკური დავალებები და უზრუნველყონ კომისიის წევრთა პოლიტიკური ნეიტრალურობა.

საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებს

- დაემორჩილონ საარჩევნო კოდექსის მოთხოვნას და თავი შეიკავონ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისაგან, რომელიმე პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ აგიტაციისგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

- არ დაუშვან საჯარო მოხელეების მიერ აგიტაციის გაწევა სამუშაო საათებში;
- დაიცვან პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და არ დაუშვან მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო თუ ადამიანური რესურსების გამოყენება პარტიული ინტერესების გასატარებლად;
- უზრუნველყონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული მოხელეებისათვის საარჩევნო პერიოდში მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

IV. საარჩევნო ადმინისტრაცია

საოლქო საარჩევნო კომისიებში დროებითი წევრების დანიშვნა

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1 აგვისტოს განკარგულებით საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსები გამოცხადდა. საგულისხმოა, რომ საკონკურსო განაცხადების წარსადგენად დაინტერესებულ პირებს განკარგულების მიღებიდან მხოლოდ მომდევნო ორი დღე - 2 და 3 აგვისტო ჰქონდათ განსაზღვრული.[1] უკვე 4 აგვისტოს კი, ცესკომ 173 კონკურსანტიდან საოლქო საარჩევნო კომისიების 72 წევრი შეარჩია[2] და მათი კომისიაში დანიშვნის შესახებ შესაბამისი განკარგულება გამოსცა.[3]

მოგვიანებით, პოლიტიკური პარტიების გაერთიანებამ „ძალა ერთობაშია“ გაავრცელა განცხადება საოლქო კომისიებში დანიშნული პირების ნათესაური კავშირებისა და პოლიტიკურ პარტიებთან აფილირების შესახებ.[4]

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, 14 ოლქში ცესკოს მიერ დანიშნულ დროებით წევრებთან დაკავშირებით იკვეთება ნათესაური კავშირები საარჩევნო ადმინისტრაციისა და თუ სხვა უწყებების თანამდებობის პირებთან, ხოლო 7 შემთხვევაში დროებით წევრებად არჩეული არიან პ/გ „ქართული ოცნების“ აქტივისტები.

საოლქო საარჩევნო კომისიებში პროფესიულ წევრებად პარტიული აქტივისტების დანიშვნა არღვევს საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპს, საფრთხეს უქმნის საარჩევნო კომისიებისადმი ნდობას საპრეზიდენტო არჩევნების წინ და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობას.

რაც შეეხება ნათესაურ კავშირებს, მართალია საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრებად საარჩევნო ადმინისტრაციის სხვა თანამდებობის პირების ნათესავების დანიშვნა პირდაპირ არ შეიცავს სამოხელეო დანაშაულის ნიშნებს, თუმცა გადაწყვეტილების მიღების ბუნდოვანი პროცესი აჩენს კითხვებს ნეპოტიზმის შესახებ.

კონკრეტულად, გაუგებარია, თუ როგორ მოახერხეს ცესკოს წევრებმა 24 საათში 173 კონკურსანტის განაცხადის განხილვა და, გასაუბრების გარეშე, მხოლოდ წარმოდგენილ საბუთებზე დაყრდნობით კონკურსანტთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შეფასება. დაინტერესებული მხარეებისთვის უცნობი დარჩა კონკრეტულ კანდიდატებთან მიმართებით ცესკოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და მართებულობა.

მსგავსი წესით ჩატარებული კონკურსი თავისთავად ეჭვებს აჩენს მიღებული გადაწყვეტილებების სისწორის და სამართლიანობის შესახებ. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ გასაუბრებისა და კანდიდატების შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, შეუძლებელია კანდიდატის სრულყოფილად შეფასება და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

---

[1] იხ. განკარგულება კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით http://cesko.ge/res/docs/20180801204504CG156.pdf

[2] გარდაბნის საოლქო კომისიაში დროებით წევრის შესარჩევი კონკურსი ხელახლა გამოცხადდა, რადგან წარმოდგენილმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა.

[3] იხ. ცესკოს გადაწყვეტილება: http://cesko.ge/res/docs/20180804190340CG168.pdf

[4] იხ. გიორგი ვაშაძის პრესკონფერენცია: https://www.facebook.com/G.Vashadze/videos/1801790396534849/

საოლქო კომისიებში დანიშნული წევრების ნათესაური კავშირები:

1. **ახალქალაქი** - ნარინე მოსოიანი - ახალქალაქის საოლქო კომისიის თავმჯდომარის, ჰასმიკ მარანგოზიანის ნათესავი; ახალქალაქის მერიის საფინანსო სამსახურის თანამშრომელი.
2. **ახმეტა** - ზურაბ შინჯიკაშვილი - ცესკოს საარჩევნო ტრენერის ანდრო შინჯიკაშვილის ძმა.
3. **გორი** - ნანა გელაშვილი - ქარელის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზაზა ნადირაშვილის მეუღლე.
4. **თეთრიწყარო** - ნატო ჩადუნელი - ამავე საოლქო კომისიის თავჯდომარის თამუნა მეტრეველის ძმის ცოლი.
5. **თელავი** - ლეილა სიბაშვილი - ცესკოს თავმჯდომარის თამარ ჟვანიას ნათესავი.
6. **კრწანისი** - თამილა რობაქიძე - ვაკის საოლქო კომისიის თავმჯდომარის თამაზ ფოლადაშვილის მეუღლე.
7. **ოზურგეთი** - თამთა გიორგაძე - ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მეუღლე.
8. **საბურთალო** - მაია ფეტვიაშვილი - კრწანისის საოლქო კომისიის იმჟამინდელი თავმჯდომარის დავით ფეტვიაშვილის მეუღლე.
9. **საგარეჯო** - ანნა თათრიშვილი - ცესკოს საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მართვის განყოფილების თანამშრომლის ზაალ თათრიშვილის და.
10. **სამგორი** - ნანა ცინდელიანი - ცესკოს საფინანსო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის განყოფილების თანამშრომლის მეუღლე.
11. **ქარელი** - მაია ალექსიძე - გორის საოლქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მეუღლე.
12. **ქედა** - მზიური შავაძე - ბათუმის საოლქო კომისიის თავმჯდომარის, ციალა შავაძის და.
13. **წყალტუბო** - სალომე ქაჯაია - წყალტუბოს საოლქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, ქრისტინე ქაჯაიას და.
14. **ლენტეხი** - მარიანა ბენდელიანი - მესტიის სუსის უფროსის მეუღლე.

საოლქო კომისიებში დანიშნული წევრების პოლიტიკური აქტივობა:

1. **აბაშა** - ზურაბ თოფურია - ცნობილია, როგორც „ქართული ოცნების“ აქტივისტი.
2. **გურჯაანი** - თორნიკე წინწალაშვილი - „ქართული ოცნების“ აქტივისტი და მხარდამჭერი.[5] წინწალაშვილი 2014 წელს ზეწოლას ახორციელებდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე და აიძულებდა მათ უკანონოდ გადაეცათ მისთვის ამომრჩეველთა სიები. აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით წინწალაშვილის წინააღმდეგ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი.
3. **ლანჩხუთი** - მარიამ კუპრაძე - „ქართული ოცნების“ აქტიური წევრი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტი.
4. **ნინოწმინდა** - კარინე ტერტერიანი - „ქართული ოცნების“ აქტივისტი.
5. **ქობულეთი** - ია ბერიძე - 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამავე საოლქო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე, ხოლო 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ოლქის დროებითი წევრი იყო. ია ბერიძე ქობულეთის რკინიგზის სადგურის დირექტორის მეუღლე და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია.
6. **ჩოხატაური** - გოჩა ცინცაძე - იყო საოლქო კომისიის წევრი 2012 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, 2013-2014 წლებში - პარტიიდან „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, ხოლო 2016 წელს დანიშნული იყო პარტიიდან „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“. 2017 წელს ის საოლქო კომისიაში მუშაობდა დამხმარედ

[5] იხ. „სამართლიანი არჩევნების“ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდის ანგარიში, გვ. 17 http://www.isfed.ge/main/684/geo/

ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პასუხისმგებელი პირი.

7. **ხელვაჩაური** - კობა სალუქვაძე - პარტია „ქართული ოცნების“ აქტივისტი.

საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრების შესარჩევი კონკურსები

ა/წ 29 აგვისტოს საოლქო საარჩევნო კომისიებში სხდომები გაიმართა, რომელთა დღის წესრიგი ძირითადად უკავშირდებოდა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებას.

„სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით, 45 ოლქში[6] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნულმა წევრებმა საოლქო საარჩევნო კომისიებში კონკურსანტებთან გასაუბრებების ჩატარება მოითხოვეს. გასაუბრების მოთხოვნას ყველა ოლქში უარყოფილ იქნა და ენმ-ს წევრებმა სხდომის თავმჯდომარეებისგან შაბლონურად ერთგვაროვანი პასუხები მიიღეს. კერძოდ, ის, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის კონკურსანტებთან გასაუბრების ვალდებულებას არც საარჩევნო კოდექსი და არც სხვა რომელიმე კანონქვემდებარე აქტი ითვალისწინებს.

საგულისხმოა, რომ თელავსა და თეთრიწყაროში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა ენმ-დან „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიან დამკვირვებლებს გადასცეს მსგავსი წერილები, რაც მათი თქმით, იყო ცესკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის გაცემული ინსტრუქცია[7] იმ შემთხვევისთვის, თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კომისიის წევრები დღის წესრიგში დააყენებდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების კონკურსანტებთან გასაუბრების საკითხს.

მოგვიანებით, ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნულ წევრებს მიეცათ კონკურსანტებთან გასაუბრების დანიშვნის საშუალება და გამოეყოთ შესაბამისი ფართი. რიგ შემთხვევაში, გასაუბრებებს „ევროპული საქართველოს“ მიერ ოლქში დანიშნული წევრიც ატარებდა. გასაუბრებაზე შეკითხვები ძირითადად ეხებოდა არჩევნების დღის პროცედურებს. ზოგიერთ ოლქში ადგილი ჰქონდა საოლქო კომისიის დანარჩენი წევრების მიერ გასაუბრებების ჩატარებისთვის ხელის შეშლის და სიტყვიერი დაპირისპირების ფაქტებს.

საუბნო კომისიის წევრობის კანდიდატთა უმეტესობა გასაუბრებებზე არ მივიდა. „სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით, 12 ოლქში[8] არცერთი დაბარებული კანდიდატი გასაუბრებაზე არ გამოცხადდა. 15 ოლქში გასაუბრებაზე კანდიდატთა მხოლოდ მცირე ნაწილი მივიდა.[9] „სამართლიანი არჩევნებისთვის“ ცნობილი გახდა, რომ რიგ ოლქებში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებს ადგილობრივი ხელისუფლების და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, გასაუბრებებში მონაწილეობა არ მიეღოთ.

---

[6] ენმ-ის მიერ გასაუბრების მოთხოვნის საკითხი დაისვა შემდეგ ოლქებში: ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ახალციხე, ახმეტა, ბათუმი, ბაღდათი, ბოლნისი, ბორჯომი, გარდაბანი, გლდანი, გორი, გურჯაანი, დიდუბე, დმანისი, ვაკე, ზესტაფონი, თეთრიწყარო, თელავი, ისანი, კასპი, კრწანისი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარნეული, ნაძალადევი, ოზურგეთი, საგარეჯო, სამგორი, სამტრედია, სიღნაღი, ფოთი, ქედა, ქობულეთი, ქუთაისი, ყვარელი, შუახევი, ჩოხატაური, ჩუღურეთი, წალენჯიხა, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხონი, ხულო.

[7] ინსტრუქციის ტექსტი: „ინსტრუქცია უბნის არჩევების და ზოგადად პასუხი, რაც დაგვჭირდება იმისათვის, თუ როგორ გასცეთ არგუმენტირებული პასუხი იმ შემთხვევაში, თუ ვინმე მოინდომებს კონკურსანტებთან გასაუბრებას. თუ ამას მოითხოვენ სხდომაზე, საერთოდ არ დააყენოთ კენჭისყრაზე. კანონი გასაუბრებას არ ითვალისწინებს. თუ ვინმეს მოუნდება სხვაგან გაესაუბროს კონკურსანტებს“.

[8] აბაშა, ბაღდათი, ბორჯომი, ვანი, თელავი, ისანი, საჩხერე, სენაკი, ტყიბული, ქარელი, ყვარელი, შუახევი.

[9] ახმეტა - 1 კონკურსანტი; გორი - 5; გურჯაანი -10, დედოფლისწყარო - 3; ზესტაფონი - 4; ლაგოდეხი - 1; მარნეული - 10; მარტვილი - 4; ოზურგეთი - 10; საგარეჯო - 3; სამტრედია - 21; სიღნაღი - 5; ფოთი-3; ქუთაისი - 6; ხაშური - 5.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ სამტრედიის საოლქო კომისიაში გასაუბრებას, ენმ-ს მიერ დანიშნულ წევრთან ერთად, კომისიის ყველა დანარჩენი წევრი ესწრებოდა. გასაუბრებაზე 190 კანდიდატიდან 21 გამოცხადდა.

11-12 სექტემბერს საოლქო საარჩევნო კომისიებში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შერჩევასთან დაკავშირებული სხდომები გაიმართა.

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით 73-ვე ოლქში შერჩევის პროცესი მსგავსი სცენარით წარიმართა. სხდომების დასაწყისში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებში დანიშნულმა წევრებმა კომისიის სხდომაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ისინი განმარტავდნენ, რომ კონკურსანტების კენჭისყრის პროცესი არ იყო რეალური, რადგან კანდიდატები წინასწარ იყვნენ შერჩეულები. შესაბამისად, ოლქებში კონკურსანტების კენჭისყრაში კომისიის 9-10 წევრი მონაწილეობდა. ტენდენციას წარმოადგენდა ის, რომ კომისიის პროფესიული ნიშნით და „ქართული ოცნების“ დანიშნული წევრები კენჭისყრისას ერთსა და იმავე კანდიდატებს უჭერდნენ მხარს, ხოლო საოლქო კომისიის წევრები „პატრიოტთა ალიანსიდან“ ხმას განსხვავებულად აძლევდნენ.

25 საოლქო საარჩევნო კომისიაში კომისიის წევრები გადაწყვეტილებას იღებდნენ წინასწარ მომზადებული სიებით.[10] კომისიის წევრები აცხადებდნენ, რომ კანდიდატთა სიის სამუშაო ვერსია კანდიდატების განაცხადების გადარჩევის შემდეგ გააკეთეს.

მისასალმებელია, რომ ტყიბულის ოლქში კომისიის თავმჯდომარემ გამოაცხადა იმ 4 პირის გვარი, რომლებსაც გასულ არჩევნებზე დისციპლინური პასუხისმგებლობა ჰქონდათ დაკისრებული და კომისიის წევრებს მოუწოდა ამ პირებისთვის მხარი არ დაეჭირათ. მან არგუმენტად მოიყვანა ცესკოს რეკომენდაცია, რომელიც საოლქო საარჩევნო კომისიებს მოუწოდებდა, რომ თავი შეეკავებინათ საუბნო საარჩევნო კომისიებში დისციპლინური/ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მქონე პირების არჩევისგან. აღნიშნული მოწოდების მიუხედავად, ტყიბულის ოლქში ერთი დისციპლინური პასუხისმგებლობა დაკისრებული პირი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად მაინც აირჩიეს.

საუბნო კომისიების პროფესიული წევრების შერჩევის პროცესის ინციდენტები

მარტვილი

10 სექტემბერს, მარტვილის ოლქში ენმ-დან საოლქო კომისიის წევრის მიერ კონკურსანტებთან გასაუბრება შეხლა-შემოხლის და სიტყვიერი დაპირისპირების ფონზე წარიმართა. გასაუბრების დაწყებისთანავე, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა შექმნეს დაძაბული გარემო და ხმამაღლა მიუთითებდნენ აღნიშნული გასაუბრების უაზრობაზე.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა ნაციონალური მოძრაობიდან განაცხადა, რომ გასაუბრების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ყველა რეგისტრირებულ კანდიდატს, თუმცა გასაუბრებაზე მხოლოდ 8 კონკურსანტი გამოცხადდა. მათგან მხოლოდ ოთხი შევიდა გასაუბრების ოთახში, ხოლო დანარჩენებმა დატოვეს კომისიის შენობა, მას შემდეგ რაც ნახეს, რომ შექმნილი იყო კონფლიქტური გარემო.

[10] ახმეტა, ბათუმი, გორი, გურჯაანი, დედოფლისწყარო, დმანისი, ზესტაფონი, ზუგდიდი, თეთრიწყარო, თელავი, ისანი, კასპი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, ნაძალადევი, ოზურგეთი, საგარეჯო, სამტრედია, სიღნაღი, ტყიბული, ქუთაისი, ყვარელი, ხაშური, ხელვაჩაური,ხულო.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები გასაუბრებაზე მოსულ კონკურსანტებს ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ ეს გასაუბრება იყო მხოლოდ და მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის ინიციატივა და თუ არ სურდათ გასაუბრება, შეეძლოთ უარი ეთქვათ. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს, ფაქტობრივად, არ მისცეს გასაუბრების ჩატარებისა და კითხვების დასმის შესაძლებლობა. კონკურსანტებისათვის დასმულ ყოველ შეკითხვას თან სდევდა მათი კომენტარი და კრიტიკა, რომ ეს კითხვები არავითარ ინფორმაციას არ იძლეოდა კანდიდატის უნარების და გამოცდილების შესახებ, და რომ საერთოდ შეურაცხყოფა იყო ასეთი კითხვების დასმა. შესაბამისად, გასაუბრება საოლქო საარჩევნო კომისიის ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელსა და კომისიის სხვა წევრებს შორის სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა. პოლემიკაში აქტიურად იყო ჩართული კომისიის თავმჯდომარეც. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა ნაციონალური მოძრაობიდან არაერთხელ მიუთითა კომისიის წევრებს, რომ მიეცათ მისთვის კითხვების დასმის და გასაუბრების ჩატარების შესაძლებლობა, თუმცა უშედეგოდ.

გასაუბრებაზე შემოსული ოთხი ადამიანიდან, პირველმა კონკურსანტმა პროტესტის ნიშნად დატოვა ოთახი და ღიად მიუთითა საოლქო კომისიაში ცესკოს მიერ დანიშნულ დროებით წევრს, ეკატერინე წოწონავს, რომ ის ხელს უშლიდა გასაუბრების ჩატარებას. წოწონავამ რამდენჯერმე გაუმეორა კანდიდატს, ნამდვილად სურდა თუ არა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთან გასაუბრება, რაზეც გასაუბრებაზე მოსული კანდიდატი გაღიზიანდა, და აღნიშნა, რომ სურვილის არ ქონის შემთხვევაში იგი არც მოვიდოდა გასაუბრებაზე, რასაც მოჰყვა კომისიის წევრსა და მას შორის დაძაბული საუბარი. ამის შემდეგ კანდიდატმა დატოვა გასაუბრების ოთახი.

გასაუბრებაზე მოსულ მეორე კანდიდატთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სირცხვილი იყო ასეთი გამოცდილების მქონე ადამიანისათვის საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით კითხვების დასმა, რასაც ასევე მოჰყვა პოლემიკა და კამათი კომისიის წევრებს შორის.

გასაუბრებაზე მოსულმა სხვა კონკურსანტებმა უარი განაცხადეს გასაუბრებაზე, მას შემდეგ, რაც კომისიის წევრებმა არაერთხელ გაუმეორეს, რომ ეს იყო მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის ინიციატივა.

მარნეული

კანდიდატებთან გასაუბრებისას ოლქის წევრებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა მარნეულის ოლქშიც. აქ ერთმანეთს „ევროპული საქართველოს“ მიერ დანიშნული კომისიის წევრი ლაშა ქველაძე და კომისიის მუდმივი წევრი ირაკლი კვარაცხელია დაუპირისპირდნენ. გასაუბრებაზე 10 კანდიდატი გამოცხადდა, ხოლო გასაუბრებას კომისიის 7 წევრი ესწრებოდა.

ჩოხატაური

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, ჩოხატაურის ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებს უკავშირდებოდნენ „ქართული ოცნების“ სხვადასხვა წარმომადგენლები, სოფლის დეპუტატები, მერის წარმომადგენლები და აფრთხილებენ, რომ ენმ-ს მიერ დაგეგმილ გასაუბრებაზე არ გამოცხადებულიყვნენ. ერთ-ერთი კონკურსანტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ის წინასწარ გააფრთხილეს რომ კონკრეტული ტელეფონის ნომრიდან მათ ენმ-ის წარმომადგენელი დაუკავშირდებოდა და ტელეფონისთვის არ ეპასუხა.

ჩოხატაური

ბაღდათის ოლქში, ერთ-ერთმა კონკურსანტმა, დალი სანიკიანმა „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელს განუცხადა, რომ ის გასაუბრებაზე არ მივიდა, რადგან თავად „41-ში“ იყო და *„41-ის გოგოები არ მოდიან [გასაუბრებაზე]“.* აღნიშნული ამყარებს ეჭვებს რომ პროფესიული წევრობის კანდიდატები თავს აღიქვამენ, როგორც საარჩევნო კომისიებში „ქართული ოცნების“ წევრები.

ლენტეხი

ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადების ჩაბარებისას ცალკეული კანდიდატები აცხადებდნენ, რომ „ქართული ოცნების“ ოფისიდან მათ დაპირდნენ, რომ საუბნო კომისიაში არჩეული იქნებოდნენ მდივნად და თავმჯდომარედ. აღნიშნულის თაობაზე „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელი ესაუბრა გიორგი გაზდელიანს - მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარეს, რომელმაც კატეგორიულად უარყო მსგავსი დაპირება.

ლანჩხუთი

2 სექტემბერს, ცესკოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ლანჩხუთის ოლქში, საუბნო საარჩევნო კომისიების კონკურსის მიმდინარეობისას, რამდენიმე კონკურსანტი დაუკავშირდა ცესკოს ცხელ ხაზს და აცნობა მათთან უცნობი პირის მიერ განხორციელებული პროვოკაციული სატელეფონო ზარების შესახებ. ინფორმაციის თანახმად, კონკურსანტებს უცნობი პირი უკავშირდებოდა ტელეფონზე, ვინმე „კურატორის“ სახელით და აწვდიდა მცდარ ინფორმაციას კონკურსთან დაკავშირებით.

„სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი დეტალური ინფორმაციის მოსაპოვებლად თავდაპირველად საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მოადგილეს დაუკავშირდა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ცესკოს განცხადების შესახებ მათთვის არაფერი იყო ცნობილი. აღნიშნული ფაქტზე კომენტარის გაკეთებისაგან თავი შეიკავა „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის აღმასრულებელმა მდივანმა გოგი ხელაძემ და ორგანიზაციის დამკვირვებელი პარტიის წარმომადგენელთან ლოლიტა ურუშაძესთან გადაამისამართა.

როგორც ლოლიტა ურუშაძემ „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიან დამკვირვებელს განუცხადა, „ქართული ოცნების“ რეგიონალური წარმომადგენელის სახელით ვინმე ირაკლი მენაღარიშვილმა დარეკა სამ კონკურსანტთან: თინათინ გოგელიასთან, ნათია ხიშტოვანთან და ნატო ჯულაყიძესთან, რომლებსაც ლოლიტა ურუშაძის ნაცნობობაზე და საუბნო საარჩევნო კომისიებში კონკურსანტების არჩევის წესზე ეკითხებოდა.

თინათინ გოგელია და ნატო ჯულაყიძე სატელეფონო კომუნიკაციის ფაქტს ადასტურებენ, თუმცა აცხადებენ, რომ ურუშაძეს არ იცნობენ. ამასთან აცხადებენ, რომ არასოდეს არცერთი პარტიის წარმომადგენელი არ ყოფილან და რომ საუბნო საარჩევნო კომისიებში ოლქიდან დანიშნულ წევრებად წლებია მუშაობენ.

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით ტელეფონის ნომერი, რომლიდანაც კონკურსანტებთან კომუნიკაცია განხორციელდა ეკუთვნის გივი ცინცაძეს, რომელიც „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენელი და გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერია. „არ ვიცი რაზე მეუბნებით,

შესაძლოა სხვამ გამოიყენა ჩემი ტელეფონი," - განუცხადა „სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელს საუბრისას ცინცაძემ.

ოზურგეთი

საოლქო კომისიის წევრს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" მზია წერეთელს, 8 სექტემბერს დღის მეორე ნახევარში, კონკურსანტებთან გასაუბრების დასრულების შემდეგ, დაუკავშირდნენ ტელეფონის ნომრიდან – 577365551. ზარის ავტორი ოლქის წევრს გაეცნო როგორც კობა და უთხრა, რომ რეკავდა ლევან ვარშალომიძის დავალებით, აინტერესებდა ოლქში მიმდინარე ამბები და კონკურსანტებთან დაკავშირებით პროვოკაციების მოწყობისკენ მოუწოდა. როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი დავით მჟავანაძე ამბობს, მათი ინფორმაციით ტელეფონის ნომერი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს ეკუთვნის.

V. მედია გარემო

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საფრთხის შემცველი მოთხოვნები

2018 წლის 8 აგვისტოს საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (GNCC) წერილით მიმართა ყველა მაუწყებელს და მედიასაშუალებას, მიაწოდა რა ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდში მათზე დაწესებული ვალდებულებების შესახებ.

კომისიის წერილში ასევე აღნიშნულია, რომ *„კომისია მიმართავს ყველა მაუწყებელს და მედიასაშუალებას, განსაკუთრებით კი მათ ვინც წინასაარჩევნო პერიოდში აპირებენ შესაბამის კვლევით ორგანიზაციებს დაუკვეთონ საზოგადოებრივი აზრის კვლევის ჩატარება და რომელთაც შესაბამისად,* ***გააჩნიათ შესაძლებლობა გადაამოწმონ მათ დაკვეთით შესრულებული კვლევების სანდოობა,*** *ყურადღება გაამახვილონ საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის ა)-ე) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომისია ვალდებულია გაატაროს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები."*

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომისია მაუწყებლებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის შესახებ აფრთხილებს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-11 პუნქტი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით პოლიტიკური მანიპულაციების თავიდან არიდების მიზნით ადგენს საზოგადოებრივი აზრის კვლევასთან დაკავშირებით სავალდებულო მოთხოვნებს[11]. საარჩევნო

[11] კერძოდ:

- კვლევა უნდა ეფუძნებოდეს წარმომადგენლობითი შემთხვევითი შერჩევის აღიარებულ მეცნიერულ მეთოდოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს შედეგების არანაკლებ 95-პროცენტიან საიმედოობას და რომლის ცდომილების ფარგლები 3 პროცენტს არ აღემატება;
- უნდა გამოქვეყნდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეთოდოლოგიის საიმედოობისა და შედეგების ობიექტურობის გადამოწმების შემდეგ;
- იმავე ან სხვა შესადარებელი საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებში მნიშვნელოვანი განსხვავებების ან ცვლილებების არსებობისას შესაძლებელი უნდა იყოს ამ განსხვავებების ან ცვლილებების დამაჯერებელი მეცნიერული ახსნა;

კოდექსი განსაზღვრავს სავალდებულო კრიტერიუმებს კვლევის სანდოობის კუთხით, მაგრამ არა მაუწყებელთა ვალდებულებას თავად გადაამოწმონ კვლევის შედეგების სანდოობა, როგორც ამას კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია განუმარტავს მაუწყებლებს.

მაუწყებლებისთვის ამგვარი ვალდებულების განსაზღვრა აჩენს მაუწყებლების მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფრთხეს და ქმნის კვლევაში მონაწილე პირების პერსონალური ინფორმაციის დაუცველობის რისკს.

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ „რუსთავი 2"-ის დაჯარიმება

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2018 წლის 15-16 აგვისტოს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავის 2"-ის მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მაუწყებელმა ეთერში განათავსა „ევროპული საქართველოს" რეკლამა. ვიდეო რგოლში პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბაქრაძე პარტიის საარჩევნო სიმბოლიკის ფონზე მიმართავს მხარდამჭერებს და იძლევა საარჩევნო დაპირებებს. ამავე კადრში მითითებულია პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველოს" 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და გაკეთებულია მინიშნება, რომ ეს ფასიან პოლიტიკურ რეკლამას განეკუთვნება.

კომუნიკაციის კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის განმარტებით, „რუსთავი 2"-მა „ევროპული საქართველოს" წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებით დაარღვია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50-ე მუხლი. კომისიის მტკიცებით, რეკლამის საკუთარ ეთერში გაშვების შემდეგ რუსთავი-2-ს კომუნიკაციების კომისიისთვის არ მიუწოდებია მოცემული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია.[12]

კომისიის შეფასებით, აღნიშნული წარმოადგენს წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის განთავსების კანონით დადგენილი წესის დარღვევას, რომლის შემთხვევაშიც დგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და ეგზავნება სასამართლოს განსახილველად. კომისიამ აღნიშნული საფუძვლით მიიღო გადაწყვეტილება კომპანია რუსთავი 2-ის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის შესახებ, რაც გადაეგზავნა სასამართლოს.

საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლი ადგენს მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების წესს. აღნიშნული სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელ ტელეკომპანიებს აკისრებს ვალდებულებას

- არ უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება ან თანხის მოზიდვის საშუალება, არ უნდა ჩატარდეს ტელეფონის, ფოსტის ან/და ინტერნეტის მეშვეობით;
- უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალე მეთოდოლოგიას, რომელიც იძლევა შედეგების დამოუკიდებელი გადამოწმების შესაძლებლობას;
- შედეგების გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს: ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა; საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამკვეთი ან დამფინანსებელი; კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანამიმდევრობა; საველე კვლევის ჩატარების დრო; გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი; რა არეალში ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა; ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს; იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა; შერჩევის ზომა; ცდომილების ფარგლები; ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე.

[12] იხ. ამონაწერი საქართველოს კომუნიკაციების 2018 წლის 23 აგვისტოს N41 სხდომის ოქმიდან.

წინასაარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკური რეკლამისთვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში კომუნიკაციების კომისიას ყოველკვირეულად გადასცენ ინფორმაცია[13].

თუმცა, საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის ვალდებულება წარმოიშვება კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან. შესაბამისად, 2018 წლის პრეზიდენტის არჩევნებისთვის მაუწყებელს კომისიისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება ეკისრება 8 სექტემბრიდან, ეს ასევე განსაზღვრულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკით.[14]

საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესი, რომელიც პოლიტიკური რეკლამის და წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას მაუწყებლის მფლობელთა ვალდებულებებს ადგენს იმპერატიულად განსაზღვრავს ვადას, კერძოდ არჩევნებამდე არაუგვიანეს 50-ე დღეს, რის შემდეგაც მაუწყებლები ვალდებული არიან მიაწოდონ პერიოდული ინფორმაცია კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. კანონმდებლობით დადგენილი არ არის, თუ რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა პოლიტიკური ან/და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსება აღნიშნულ ვადაზე ადრე მოხდება. შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება და დადგენილი პრაქტიკა საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის ჩანაწერთან შეუსაბამოა, აღნიშნულმა კი შესაძლებელია მნიშვნელოვნად დააზარალოს ის მაუწყებლები, რომლებმაც პოლიტიკური ან/და წინასაარჩევნო ხასიათის რეკლამა კანონის დაცვით გამოაქვეყნეს, თუმცა რადგან კანონით დადგენილი ვადა ჯერ დამდგარი არ იყო არ მიუწოდებიათ ინფორმაცია კომუნიკაციების კომისიისთვის.

ტელეკომპანია „იბერიას“ საქმე

2018 წლის 20 თებერვალს, ტელეკომპანია „იბერიას“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ვახო ხუზმიაშვილმა ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ „ომეგა ჯგუფი“ და მასში შემავალი კომპანიები სერიოზული ფინანსური დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ, რაც ტელეკომპანია „იბერიას“ სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს უქმნიდა, ვინაიდან ტელეკომპანია „იბერიას“ მთავარი დამფინანსებელი „ომეგა ჯგუფი“ იყო.[15]

საკითხმა აქტუალობა ხელახლა სექტემბრის დასაწყისში შეიძინა. „ომეგა ჯგუფის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა „პატრიოტთა ალიანსიდან“ - ნატო ჩხეიძემ 7 სექტემბერს განაცხადა,[16] რომ ხელისუფლებისგან მათ აქვთ შემოთავაზება, რომ ტელეკომპანია „იბერიას“ დათმობის სანაცვლოდ „ომეგა ჯგუფის“ ფინანსური პრობლემები მოგვარდებოდა. საგულისხმოა, რომ არც ნატო ჩხეიძეს და არც დამფუძნებელ ზაზა ოქუაშვილს არ დაუკონკრეტებიათ ის პირები, ვინც ტელეკომპანიის დათმობის მოთხოვნით მიმართა.

მოგვიანებით ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა გაავრცელა აუდიოჩანაწერი, რომელშიც, სავარაუდოდ, ზაზა ოქუაშვილისა და სპორტისა და ახალგაზრდობის ყოფილი მინისტრის, ლევან ყიფიანის საუბარია ჩაწერილი. აღნიშნული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ, სავარაუდოდ, ლევან ყიფიანი, ხელისუფლების სახელით, „ომეგა ჯგუფის“ ფინანსური პრობლემების „მოგვარების“ პირობებზე საუბრობს. ჩანაწერში იგი ამბობს: *„ყველა გამოდის - 'რუსთავი2'-ზე უარესი არისო*

---

[13] კონკრეტულად, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო; ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი; ინფორმაცია საეთერო დროის ტარიფის და გაწეული მომსახურების შესახებ.

[14] იხ. საქართველოს ცენტრალური საარჩვნო კომისია საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი: გვ. 4 http://cesko.ge/res/docs/Grafiki2018PresidentGeo.pdf

[15] იხ. ნეტგაზეთის სტატია: http://netgazeti.ge/news/254207/

[16] იხ: http://netgazeti.ge/news/302791/

'იბერია'. უფრო აღიზიანებთ. ძნელია როცა ლაპარაკობ დათმობაზე [ხელისუფლებასთან], როცა ტელევიზია აგერ ასეთ ამბებშია". [17]

7 სექტემბრიდან „იბერია" საგანგებო რეჟიმში მაუწყებლობს. 10 სექტემბერს, პროტესტის ნიშნად, სამი საათის განმავლობაში ტელეკომპანიის მაუწყებლობა გათიშული იყო, ხოლო ჟურნალისტებმა საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს ტელევიზიის შენობიდან კანცელარიამდე.

ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, „ომეგა ჯგუფში" შემავალ, სიგარეტის მწარმოებელ კომპანია შპს „ოჯთ-ის" საგადასახადო დავალიანების სახით ერიცხება 51 მლნ 717 ათასი ლარი, რომლის ძირითად ნაწილს შეადგენს თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის გადაუხდელობა. სამინისტროს ინფორმაციით ეს არის ერთადერთი კომპანია, რომელსაც 50 მილიონზე მეტი ვალი ერიცხება ბიუჯეტის წინაშე, ხოლო თანხის გადაუხდელობის გამო, ამჟამად, კომპანიის მიმართ გავრცელებულია იძულებითი ღონისძიებები - ინკასო და ყადაღა.[18]

„სამართლიანი არჩევნები" მიიჩნევს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში პრინციპულად მნიშვნელოვანია მმართველი პოლიტიკური ჯგუფების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიის არსებობა. მედიის დამოუკიდებლობა და სარედაქციო პოლიტიკის მრავალფეროვნება საზოგადოების ინფორმირებისა და, შესაბამისად, თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

ცვლილება საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა ხელშეკრულებებში

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროფკავშირების განცხადებით, აგვისტოს ბოლო კვირაში საზოგადოებრივი მაუწყებლის 150-მდე თანამშრომელმა ახალი სამუშაო პირობების შესახებ ადმინისტრაციისგან შეთავაზება მიიღო, რომელზეც თანხმობის მისაცემად ვადა 4 სექტემბრამდე განესაზღვრათ. შეთავაზების მიხედვით იცვლება დასაქმებულების სამუშაო რეჟიმი და კონკრეტულ პოზიციებზე ამ პირებისთვის შრომის ანაზღაურების ფორმა. თვიური მოჭრილი ხელფასის ნაცვლად მათ სთავაზობენ საჭიროების შემთხვევაში გამოძახების პრინციპით მუშაობას და ანაზღაურებას, რომელიც შესრულებული სამუშაოს მიხედვით განისაზღვრება. შეთავაზებაში გაწერილი არ არის ყოველთვიურად შესასრულებელი სამუშაოს ზღვრული ლიმიტი და გრაფიკი, ხოლო ტელევიზიის ადმინისტრაცია არ იძლევა იმის გარანტიას, რომ თუნდაც ერთხელ მაინც გამოიძახებს რომელიმე თანამშრომელს სამსახურში.[19]

საპასუხო განცხადებაში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავისი გადაწყვეტილება დაუკავშირა, ერთი მხრივ, თანამშრომელთა აღრიცხვიანობის სისტემის და სამუშაო გრაფიკის მოწესრიგებას, ხოლო, მეორე მხრივ, განმარტა, რომ *„ჩამოყალიბებული სამუშაო გრაფიკები/ცვლები არაეფექტიანად და არასამართლიანად ანაწილებდა თანამშრომლების დატვირთვას. შედეგად დაგროვდა სამუშაო ჯგუფების გადაჭარბებული რაოდენობა, რომელიც არ შეესაბამება წარმოებული გადაცემების საჭიროებებს და მნიშვნელოვნად ზრდის ადამიანურ რესურსს."* ამავე განცხადებაში ნათქვამია, რომ ხელშეკრულების პირობების შეცვლის საკითხი არა 150 არამედ 70-მდე თანამშრომელს შეეხო.

[17] იხ. აუდიოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=Lg2o-pa3ZRg
[18] იხ. ფინანსთა სამინისტროს განცხადება: https://www.mof.ge/News/8619
[19] http://netgazeti.ge/news/301656/

მაუწყებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თანამშრომელთა ნაწილისთვის ახალი შრომის პირობების შეთავაზების შესახებ კითხვებს აჩენს იმ პირობებში, როდესაც მაუწყებელს არ აქვს საშტატო განრიგი და მკაფიო შრომითი პოლიტიკა.

აღნიშნულის გარდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ ცალმხრივად შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლის გადაწყვეტილება წინასაარჩევნო პერიოდში საშიშ პრეცედენტს წარმოადგენს. იმ ფონზე, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში სერიოზული კითხვის ნიშნები ისმის, არსებობს რისკი, რომ მაუწყებელში დასაქმებული სხვა თანამშრომლები მენეჯმენტის შესაძლო პოლიტიკური ინტერესების მიმართ მოწყვლადი გახდნენ, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიუკერძოებლობას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.

VI. სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა/მუქარა

კასპი

„ქართული ოცნების“ კასპის ორგანიზაციის ერთერთი დამფუძნებელი ია ქვლივიძე ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივანს ირაკლი ნონიკაშვილს მასზე და მის ოჯახზე განხორციელებულ მუქარაში ადანაშაულებს. ია ქვლივიძეს მიაჩნია, რომ ირაკლი ნონიკაშვილს ზურგს პარლამენტის წევრი დიმიტრი სამხარაძე და კასპის მერი მანუჩარ მერებაშვილი უმაგრებენ.

1 აგვისტოს, ია ქვლივიძეს, მობილურ ტელეფონზე უცნობი პირი დაუკავშირდა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და დაემუქრა, რომ მას და მის ოჯახს გაანადგურებდა. მოგვიანებით, ქვლივიძემ დადგინა, რომ ნომერი საიდანაც მუქარის ზარი განხორციელდა „ქართული ოცნების“ კასპის ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივანს ირაკლი ნონიკაშვილს ეკუთვნის. განხორცილებულ მუქარას ქვლივიძე უკავშირებს, დიმიტრი სამხარაძის „ფეისბუქ“ გვერდზე დაწერილ კომენტარს, სადაც მან უკმაყოფილება გამოთქვა კასპში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო.

ია ქვლივიძე დიმიტრი სამხარაძის „ფეისბუქ“ გვერდზე წერდა, რომ „ქართული ოცნების“ შტაბში სხვადასხვა თანამდებობებზე ინიშნებიან პირები, ვინც 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების წინ, ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ, ხოლო 2012 წელს მებრძოლი „ქართული ოცნების“ წევრები პარტიის გარეთ არიან დარჩენილები.

ირაკლი ნონიკაშვილს აღნიშნულ თემაზე საუბარი არ სურს. იგი მომხდარს არც ადასტურებს და არც უარყოფს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ფაქტს სწავლობს სახალხო დამცველის აპარატი.

VII. ფიზიკური დაპირისპირება

ადიგენი

29 ივლისს, „სამხრეთის კარიბჭემ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 28 ივლისს შუამთობის დღესასწაულზე ინციდენტი მოხდა ადიგენში, ფერსათის მთაზე. ფეხბურთის თამაშთან დაკვშირებით ახალგაზრდებს შორის დაწყებული კონფლიქტი, ფიზკურ დაპირსპირებაში გადაიზარდა, რა დროსაც სოფელ ზანავში „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატი ზურა შაინიძე, მისი ოჯახის წევრები და შვილის მეგობრები დაშავდნენ. საკრებულოს მაჟორიტარი

დეპუტატი ზურა შაინიძე მომხდარში „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის აქტივისტებს ადანაშაულებდა.[20]

მოგვიანებით, „ქართულმა ოცნებამ“ ოფიციალური განცხადება გააკეთა და მომხდარ ფაქტს გაემიჯნა. პარტიის განცხადებით, ინციდენტი ყოფით ნიადაგზე წარმოიშვა და ყოველგვარი პოლიტიკური მოტივი გამორიცხულია; ხოლო, პოლიტიკური გაერთიანება ემიჯნება ყოველგვარ ძალადობას და გამორიცხავს ვინმეს მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას.[21]

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება სსკ–ის 126–ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

VIII. სავარაუდო მოსყიდვისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მცდელობები

ქუთაისი

20 ივლისს, ქუთაისის ადგილობრივი მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქუთაისის მერია წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობის მოსყიდვის მიზნით, საქველმოქმედო ფონდის შექმნას ცდილობდა. ფონდის ხელმძღვანელი გახლდათ თამთა ბაკურაძე, რომელიც მერიის ა(ა)იპ „მადლიერების სახლის“ დირექტორი და „ქართული ოცნების“ ქუთაისის ორგანიზაციის პოლიტსაბჭოს წევრია.[22]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია ჩაატარა ნაციონალური მოძრაობის ქუთაისის ორგანიზაციის წევრმა გიგა შუშანიამ. იგი აცხადებდა, რომ თამთა ბაკურაძის ხელით სინამდვილეში ქუთაისის მერი გიორგი ჭიღვარია და მთელი „ქართული ოცნება“ მოქმედებდა და ისინი ა(ა)იპ-ების თანამშრომლებს აიძულებდნენ კუთვნილი ხელფასის 1% ყოველთვიურად აღნიშნულ ფონდში შეეტანათ.[23]

ქუთაისის ვიცე მერმა, ნინო თვალთვაძემ განაცხადა, რომ ფონდი დამოუკიდებლად მოქმედებდა და მას მერიასთან კავშირი არ ჰქონდა. მისი თქმით, ა(ა)იპ-ების თანამშრომლებისათვის ხელფასის 1%-ის ფონდში შეტანას იძულებითი ხასიათი არ ჰქონია და ეს მხოლოდ ნებაყოფლობით ხასიათს ატარებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა ნაწილს ხელფასიდან 1% ისე ჩამოეჭრათ, რომ მათ გადარიცხვის ოპერაცია არ შეუსრულებიათ. ჩამოჭრის ოპერაცია შესრულდა ავტომატურად მათი ხელფასიდან, რისი განხორციელების შესაძლებლობაც გარეშე პირს არ უნდა ჰქონოდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თამთა ბაკურაძესთან გასაუბრების მიზნით, „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელი იმყოფებოდა ქუთაისის „მადლიერების სახლში“. ორგანიზაციის დამკვირვებელს სახლის დირექტორთან ჰქონდა შემდეგი შეკითხვები: საიდან ჰქონდა

[20] იხ. სტატია: http://sknews.ge/index.php?newsid=18774
[21] იხ, სტატია: http://sknews.ge/index.php?newsid=18777
[22] იხ. ინფორმაცია: http://newpress.ge/qutaisis-meria-dasaqmebulebs-xelfasis-gaurkvevel-fondshi-1-procentis-gadaricxvas-stavazobs
[23] იხ. ინფორმაცია: http://newpress.ge/es-aris-winasaarchevnod-e-w-partjuli-yulabis-sheqmnis-mcdeloba

საქველმოქმედო ფონდს ა(ა)იპ-ების თანამშრომლების ანგარიშებთან წვდომა და რამდენად კანონიერი იყო ავტომატურად ჩამოეჭრათ მათთვის ხელფასის 1%. ასევე დაინტერესდა რატომ იქმნებოდა ფონდი საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როდესაც ეს აჩენდა ეჭვებსა და შეკითხვებს დაინტერესებულ მხარეებში. თამთა ბაკურაძემ „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელთან შეხვედრაზე უარი განაცხადა და აცნობა, რომ ინტერესის შემთხვევაში დასწრებოდა ფონდის პრეზენტაციას.

17 აგვისტოს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფონდი საქმიანობას არჩევნების დასრულებამდე წყვეტდა, რათა მის დამფუძნებლებს საკითხის გარშემო ყოველგვარი კითხვის ნიშანი გაექროთ.[24]

მოგვიანებით, მედიით ცნობილი გახდა, რომ ააიპ-ების თანამშრომლებს დაურიგდათ განაცხადის ფორმა-შაბლონები, რომლის მიხედვითაც ისინი მიმართავდნენ ქალაქის მერს და ნებაყოფლობით თანხმობას აცხადებდნენ ხელფასის 1%-ის ფონდში გადარიცხვის თაობაზე.[25]

ლანჩხუთი

აგვისტოს თვეში, საქართველოს „წითელი ჯვარის“ საზოგადოების ლანჩხუთის ფილიალის თავმჯდომარემ ნატო ჟორდანიამ ლანჩხუთში, სოფელ ნიგოითში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნორა ხვედელიძეს ეტლი გადასცა. „სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, ნატო ჟორდანია დიდი ხანია თბილისში მოღვაწეობს, მეუღლე კი სოფელ ნიგოითის მაცხოვრებელია და ახლახანს დანიშნეს პარტია „ქართული ოცნების“ ზონის კოორდინატორად. „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიან დამკვირვებელთან საუბრისას ჟორდანიამ განაცხადა, რომ ქველმოქმედება ორგანიზაციის მიერ დიდი ხანია ხორციელდება და მსგავსი აქციები მომავალშიც გაგრძელდება.

ვაკე

27 აგვისტოს, პოლიტიკური პარტია „გირჩის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა ზურა ჯაფარიძემ, ჩაატარა შეხვედრა ახალგაზრდებთან, რომლებსაც გაწვევა სამხედრო სამსახურში მოუვიდათ. შეხვედრას ესწრებოდა 35-40 ადამიანი და მიმდინარეობდა კითხვა პასუხის რეჟიმში. ახალგაზრდებს სურვილის შესაბამისად, პარტიამ გადასცა სასულიერო პირის მოწმობები.

ზურაბ ჯაფარიძე ამავდროულად წარმოადგენს რელიგიურ ორგანიზაცია „ბიბლიურ თავისუფლებას“, რომელიც ორგანიზაციაში გაწევრიანებული პირებისთვის გასცემს სასულიერო პირის მოწმობებს, რაც მათ სავალდებულო სამხედრო სამსახურში მსახურებისგან გათავისუფლების საშუალებას აძლევს. აღნიშნულ შემთხვევაში, რელიგიური ორგანიზაცია და პარტია ერთმანეთისგან არ იმიჯნება, რაც რელიგიური ორგანიზაციის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის აკრძალვასთან დაკავშირებით საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

კასპი

16 აგვისტოს, სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს დირექტორმა გამოსცა ბრძანება „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის 2018 წლის ეტაპის

[24] http://newpress.ge/fondi-archevnebis-periodshi-daxmarebebs-ar-gascems
[25] http://newpress.ge/fondi-archevnebis-periodshi-daxmarebebs-ar-gascems

ჩატარების ვადების დამტკიცების შესახებ“ რომელშიც დამტკიცებულია 2018 წლის პროგრამის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების გრაფიკი.[26]

საგულისხმოა, რომ პროგრამის განხორციელება დაიწყო 20 აგვისტოს და პროგრამის ძირითადი აქტივობები ემთხვევა საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდს.

აღნიშნული პროგრამის წინასაარჩევნო კონტექსტში გაანალიზება საჭირო გახდა იმდენად, რამდენადაც, პროექტის გასაცნობად შეხვედრები ტარდება სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. მაგალითისთვის შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში მათ შორის კასპში, „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებში შეხვედრები გაიმართა მერიის შენობაში.

შეხვედრას ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები ესწრებოდნენ. დამსწრე საზოგადოებას პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში შესული ცვლილებები გააცნეს. შეხვედრაზე სააგენტოს წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმის შესახებ, რომ გაზრდილია დაფინანსების თანხა და პროექტის ბენეფიციარები ბევრად მეტ სარგებელს მიიღებენ ვიდრე პროგრამის წინა მონაწილეები.

ბათუმი

1 სექტემბერს, ბათუმში, თამარის დასახლებაში, შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრში“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ეგიდით, დევნილებისთვის უფასო სამედიცინო გამოკვლევები მიმდინარეობდა. პაციენტებს 17-მდე მიმართულების სამედიცინო მომსახურება გაეწიათ და ექიმების დანიშნულების შესაბამისად გაიცა უფასო მედიკამენტები.

ლაგოდეხი

„სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიამ წინასაარჩევნო პერიოდში გააქტიურა შეხვედრები მოსახლეობასთან. კონკრეტულად, 27, 30 და 31 აგვისტოს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი ჯონდო მდივნიშვილი და მერიის სამსახურების ხელმძღვანელები შეხვდნენ მოსახლეობას იმ სოფლებში, სადაც რამდენიმე დღის წინ ჩასული იყვნენ ოპოზიციის მიერ დასახელებული პრეზიდენტობის კანდიდატები. შეხვედრებზე მოსახლეობამ წამოაყენა იგივე პრობლემები, რაც ოპოზიციურ პარტიებთან შეხვედრებზე. ადგილობრივი ხელისუფლება ზოგ სოფელს დაპირდა პრობლემების მოგვარებას, ზოგ სოფელში კი უკვე დაიწყო სამუშაოები. მაგალითად, ჭიაურის თემში დაწყებულია ელექტროენერგიის სისტემის რეაბილიტაცია.

ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, რომ ფონდი „ქართუ“–ს დაფინანსებით, დაბა ურეკში ახალი საბავშვო ბაღი აშენდა,[27] რომელიც ოქტომბერში გაიხსნება. 31 აგვისტოს, სამუშაოები ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა, ლაშა ჭელიძემ და სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორმა - მაკა ჭყონიამ დაათვალიერეს. ოფიციალური ინფორმაციით, ფონდის

[26] იხ. ბრძანება და დანართი ვადების შესახებ: http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5b865bdf954ec-matsne-4303293-0.pdf

[27] http://ozurgeti.mun.gov.ge/ge/news/view/daba-urekshi-akhali-sabavshvo-baghi-ashenda

ხელმძღვანელობამ ახალი ბაღის აშენების გადაწყვეტილება არასაკმარისი ფართის მქონე ბაღის არსებობის გამო მიიღო. ფონდის დაკვეთით, მშენებლობა ასოციაცია „ატუ“–მ შეასრულა. „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებელი დაბა ურეკში მერის წარმომადგენელს დავით რობაქიძეს დაუკავშირდა. რობაქიძემ აღნიშნა, რომ მშენებლობა გასულ წელს ფონდის კეთილი ნებით დაიწყო. მისი თქმით, ბაღში ფართის სიმცირის გამო 90–დან 60 ბავშვი დადიოდა და შენობაში ნესტი იყო. რობაქიძე აცხადებს, რომ საბავშვო ბაღის ძველ შენობაში მერის წარმომადგენლობა გადავა, რომელიც ამჟამად ნაქირავებ ფართში იმყოფება.

ახალქალაქი

26 აგვისტოს „ქართული ოცნების“ ახალქალაქის შტაბმა მოაწყო ექსკურსია ახალქალაქის ახალგაზრდებისათვის და მათ შორის პარტიის აქტივისტებისათვის. ექსკურსიის ფარგლებში პარტიამ 36 ახალგაზრდა სამი დაქირავებული სამარშუტო ტაქსით ყაზბეგში წაიყვანა. შტაბის მდივნის ნანა აღდგომელაძის ინფორმაციით ექსკურსია ყველა ახალგაზრდა მსურველისათვის იყო მოწყობილი. მან ასევე დაამატა რომ ეს იყო ერთჯერადი სოციალური პროექტი.

IX. წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისთვის ხელის შეშლა

ოზურგეთი

20 აგვისტოს, სოფელ ნასაკირალის მოსახლეობასთან პოლიტიკური პარტიების გაერთიანება „ძალა ერთობაშია“-ს პრეზიდენტობის კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის შეხვედრაზე ადგილობრივმა მცხოვრებმა ოთარ ირემაძემ არეულობის შეტანა სცადა. ირემაძე ერთ–ერთი ა(ა)იპ–ს თანამშრომელია. ის ვაშაძისგან ითხოვდა პასუხს, თუ რა გააკეთეს ნაციონალებმა ცხრა წლის განმავლობაში. ირემაძიის მიერ ხელის შეშლის მცდელობა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბესო ქათამაძემ „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიან დამკვირვებელთან საუბრისას აღნიშნა, რომ ოთარ ირემაძე „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერია და გასული წლების არჩევნების პერიოდშიც აქტიურობდა ხელისუფლების მხარდასაჭერად.

ხონი

30 აგვისტოს, საპრეზიდენტო კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე ხონში, სოფელ მათხოჯის თემში მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრა მათხოჯის ადმინისტრაციული ერთეულის ეზოში ტარდებოდა, თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი ნანა ჩაკვეტაძე კანდიდატს შეხვედრის ჩატარების ნებას არ აძლევდა და ამბობდა რომ კანონი ამის საშუალებას არ იძლეოდა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონული ოფისის ხელმძღვანელმა, მამუკა ტყაბლაძემ მას განუმარტა, რომ არსებობდა საკრებულოს განკარგულება, სადაც მათხოჯის თემში შეხვედრის ჩატარების ადგილად მითითებული იყო ადმინისტრაციის შენობა. ამ განმარტების შემდგომ შეხვედრამ ექსესების გარეშე ჩაირა.

X. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გავრცელების წესის დარღვევა

მთაწმინდა

24 აგვისტოს, მეტრო „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ საპრეზიდენტო კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის შტაბის მოსახლეობას ურიგებდნენ სააგიტაციო ბუკლეტებს რომელზე არ იყო მითითებული ბუკლეტის დამამზადებლის მისამართი და ბუკლეტების ტირაჟი, რაც ბეჭვდითი სააგიტაციო მასალის სავალდებულო რეკვიზიტს წარმოადგენს.[28]

XI. საბიუჯეტო ცვლილებები მუნიციპალიტეტებში

„სამართლიანმა არჩევნებმა“ შეისწავლა 2018 წლის 1 მაისიდან ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებები. ამ პერიოდში, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებში ცვლილება განხორციელდა 31 მუნიციპალიტეტში. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 23 აგვისტოს N1665-ე განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოეყო 250 მილიონი ლარი.[29]

2018 წლის 27 აგვისტოს N1709-ე განკარგულებით, ცვლილებები განხორციელდა საქართველოს მთავრობის განკარგულებაში, რომლითაც მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისთვის განისაზღვრა დაფინანსება, კერძოდ, დადგენილების თანახმად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროექტებისთვის გამოიყო 300,000 ლარი, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთვის“ კი 8,659,105 ლარი, ასევე განისაზღვრა თანხები მაღალმთიან რეგიონებში ცალკეული პროექტების დასაგეგმად.[30]

საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლი არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით კრძალავს ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელებას, რომელიც მანამდე გათვალისწინებული არ იყო, სახელმწიფო და ადგილობრივი ერთეულის ბიუჯეტში.[31] მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებებით წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესი ფორმალურად არ დარღვეულა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სხვადასხვა ტიპის სოციალური, ჯანდაცვის თუ ინფრასტრუქტურული ხასიათის პროგრამების დაგეგმვა ან/და განხორციელება წინასაარჩევნო პერიოდს ემთხვევა, რაც შესაძლოა სწორედ, არჩევნების მოახლოებას უკავშირდებოდეს და წინასაარჩევნოდ ამომრჩევლის კეთილგანწყობის ზრდას ისახავდეს მიზნად. შესაბამისად, არჩევნების წინ ადგილობრივ ბიუჯეტებში მასშტაბური ცვლილებები აჩენს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების განცდას და ხელს არ უწყობს არჩევნების წინ თანასწორი საარჩევნო გარემოს დამკვიდრებას.

---

[28] „საარჩევნო კოდექსის“ 46.6 მუხლის თანახმად: ბეჭდვით სააგიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა იყოს დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები, ინფორმაცია მისი ტირაჟის, რიგითი ნომრისა და გამოშვების თარიღის შესახებ. აკრძალულია ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გავრცელება ამ ინფორმაციის მითითების გარეშე. ბეჭდვით სააგიტაციო მასალაზე რიგითი ნომრის აღნიშვნა საარჩევნო სუბიექტს ევალება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიენიჭება აღნიშნული ნომერი.

[29] იხ. საქართველოს მთავრობის განკარგულება: http://gov.ge/files/495_67596_769345_1665.pdf

[30] იხ. საქართველოს მთავრობის განკარგულება: http://gov.ge/files/495_67660_247462_1709.pdf

[31] იხ. საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 45: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168

ოზურგეთი

ოზურგეთის საკრებულოს 2 მაისის N30 დადგენილების თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერების ხარჯზე სოციალური პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხა 22,000 ლარით გაიზარდა. ამავე დადგენილებით, ცვლილებები განხორციელდა ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილში, რის საფუძველზეც, 20,200 ლარით გაიზარდა ჯანდაცვის არსებული პროგრამა, ხოლო ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის დამატებით გამოიყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6,952,900 და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 8,602,500 ლარი.

ოზურგეთის საკრებულოს 6 ივნისის N36-ე დადგენილებით, ჯანდაცვის პროგრამაში მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება 18,220 ლარით გაიზარდა, ხოლო ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოიყო 2,175,500 ლარი.

ხულო

ხულოს მუნიციპალიტეტში 22 ივნისსა და 26 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით, ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი ხარჯები 1,239,537 ლარით გაიზარდა. ცვლილების შედეგად დაიგეგმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 142,221 ლარი. ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, განისაზღვრა თანხა მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა მომსახურებისთვის 35,000 ლარის ოდენობით, ასევე 3,500 ლარი მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფისთვის. სპორტული მოედნების მშენებლობისთვის გამოიყო 80,000 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის სოფლებში ხიდების რეაბილიტაციისა და რემონტისთვის 94,348 ლარი.

ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 10 აგვისტოს განხორციელებული ცვლილება შემდეგი სახის სოციალურ პროგრამებს შეეხო: სოციალურად დაუცველი ოჯახების, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა გაიზარდა 20,000 ლარით, ხოლო სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების ხარჯებისთვის განსაზღვრული პროგრამა 15,000 ლარით.

10 აგვისტოს, საკრებულოს დადგენილებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით, გაიზარდა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება 4,748,332 ლარით, აქედან საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოიყო 2,986,920 ლარი, კულტურის ობიექტების რეაბილიტაციისთვის 9,933 ლარი, ბინათმშენებლობისთვის 10,596 ლარი, ხოლო წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისთვის 4,026 ლარი.

მაისის თვეში, საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯზე გაიზარდა კულტურული ღონისძიებების დაფინანსება 54,600 ლარით და ა(ა)იპ-ების სუბსიდიით დაფინანსება 78,700 ლარით.

საბიუჯეტო ცვლილებები მიმდინარე წლის მაისსა და აგვისტოს თვეში შეეხო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარებას. საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მაისის თვეში მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 180,000 ლარი, დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის. აგვისტოს თვეში 200,000 ლარი იქნა გამოყოფილი ჩიბათისა და ღრმაღელის ადმინისტრაციული შენობების სახურავის, აცანის საბავშვო ბაღის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მაისსა და ივნისის თვეში მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამოყოფილმა თანხებმა შეადგინა 2,558,849 ლარი, რომელიც მიიმართა გზების, სანიაღვრე არხების, ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად.

ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29 მაისის N41-ე დადგენილებით ბიუჯეტის სოციალურ პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 152,500 ლარით. განხორციელდა ასევე ცვლილება ჯანდაცვის პროგრამაში, კერძოდ ჯანდაცვის პროგრამა გაიზარდა 4,181,000 ლარით, ამავე პროგრამას დაემატა 13 ქვეპროგრამა, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება, რომლისთვისაც გამოიყო 51,600 ლარი. ამასთან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროგრამისათვის გამოყოფილ თავდაპირველ თანხას დაემატა 5,867,700 ლარი. ინფრასტრუქტურულ პროგრამების ნაწილში განსაზღვრულ 6 ქვეპროგრამას, დაემატა მე–7 ქვეპროგრამა, რომლიც ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და მართვას. ამ ქვეპროგრამისათვის ბიუჯეტში გამოიყო 1,380,700 ლარი.

ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა ორი ცვლილება, კერძოდ საკრებულოს 2018 წლის 8 ივნისის N22 და 24 აგვისტოს N31 დადგენილებების საფუძველზე. აღნიშნული ცვლილებებით ბიუჯეტი გაიზარდა 181,897 ლარით. ცვლილებები ძირითადად შეეხო სოციალურ, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურულ პროექტებს. გაიზარდა მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა 6,000 ლარით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისთვის გამოიყო 13,397 ლარი. ასევე განისაზღვრა ცალკეული თანხების გამოყოფა მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების, საჯარო სკოლებისა და საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩასატარებლად. დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის გამოიყო დამატებით 563,800 ლარი.

ფოთი

ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა 2 ცვლილება, კერძოდ, შემოსულობების ნაწილი გაიზარდა 4,571,700 ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო ტრანსფერის სახით 5,952,700 ლარი. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად, შემცირდა მერიის შრომის ანაზღაურების ხარჯები 7,300 ლარით, რაც დაემატა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს. გაიზარდა მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 3,200 ლარით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების შემცირების ხარჯზე.

ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ ხარჯის 100,000 ლარით შემცირებით გაიზარდა დაფინანსება სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაციისთვის. 18,200 ლარით შემცირდა საბავშვო ბაღების გაზიფიცირების პროგრამა და დაემატა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის ხარჯებს. 40,000 ლარი გამოიყო შუქნიშნების შესაძენად. კეთილმოწყობის პროექტებს დაემატა სანერგე-საჩითილე მეურნეობის მოწყობის პროგრამა, რისთვისაც გამოყოფილ იქნა 29,000 ლარი. გაიზარდა სპორტული ობიექტების, კერძოდ სპორტული დარბაზის

რეკონსტრუქციის თანადაფინანსების ხარჯები 42,100 ლარით. განხორციელდა ცვლილებები მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის პროექტებში. კერძოდ, გზების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 70,000 ლარით შემცირების საფუძველზე გაიზარდა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობისა და პროექტირების ხარჯები 30,000 ლარით.

ყვარელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები, ძირითადად, სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეეხო. 2018 წლის 24 აგვისტოს საკრებულოს N60 დადგენილებით, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია. ასევე სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება, კერძოდ ყვარლის მუნიციპალიტეტში არსებული 22 სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის დაფარვა, სპორტული და კულტურული ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსება.

ცვლილების საფუძველზე, გაიზარდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება 75,000 ლარით. ასევე მოხდა ცალკეული ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისთვის თანხების გამოყოფა, გაიზარდა დაფინანსება ბინათმშენებლობის ღონისძიებებისთვის 87,800 ლარის ოდენობით, ასევე, დამატებით გამოიყო გზების რეაბილიტაციისთვის 1,120,100 ლარი, სპორტული მოედნებისა თუ დარბაზების კეთილმოწყობისთვის 22,7000 ლარი. კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით გაიზარდა ა(ა)იპ „ყვარლის კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრის“ სუბსიდია 54,400 ლარით.

ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები ინფრასტრუქტურულ, სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს შეეხო. 2018 წლის 27 აგვისტოს საკრებულოს N60 დადგენილებით, განისაზღვრა მუნიციპალიტეტის შემდეგი პრიორიტეტული მიმართულება: საინვესტიციო გარემოს და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ამაღლება, კულტურის და სპორტის განვითარება, მათ შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფისთვის ცალკეული პროგრამების დაფინანსება. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში გამოიყო დამატებითი თანხა გზების რეაბილიტაციისთვის 229,900 ლარის ოდენობით, გაიზარდა სკოლამდელი განათლების დაფინანსება 272,800 ლარით, ასევე ა(ა)იპ „სოციალური სახლისთვის“ გამოიყო 11,000 ლარი არაფინანსური აქტივების ხარჯზე და სუბსიდია 3, 200 ლარი.

გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს N50 დადგენილებით, ცვლილებები განხორციელდა ბიუჯეტში, რის ფარგლებშიც დაიგეგმა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, პროფესიული განათლების, სპორტისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობა.

ძირითადად სახელმწიფო ტრანსფერის ხარჯზე გაიზარდა გზების რეკონსტრუქციის ხარჯები 4,056,000 ლარით; გაიზარდა წყლის სისტემის რეაბილიტაციასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები 75,300 ლარით, ხოლო 27 აგვისტოს ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 64,570 ლარით.

თელავი

2018 წლის 1 მაისს ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით გაიზარდა უფასო სასადილოების დაფინანსება 75,830 ლარით. ასევე ინფრასტრუქტურული პროგრამის ფარგლებში გამოიყო თანხა გარე განათების რეაბილიტაციისთვის 36,834 ლარის ოდენობით, ხოლო გარე განათების მოწყობისთვის გამოიყო 26,959 ლარი. ამავე ცვლილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის გათვალისწინებული დაფინანსებისთვის განისაზღვრა 9,600 ლარი.

საკრებულოს მიერ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ივლისის თვეში განხორციელებული ცვლილება შეეხო საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რის საფუძველზეც 522,675 ლარით გაიზარდა ამ ტიპის საქმიანობის დაფინანსება. 2018 წლის 27 აგვისტოს N63 დადგენილების საფუძველზე კი გაიზარდა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის ხარჯები.

კასპი

კასპის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ცვლილებები, ძირითადად, სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეეხებოდა. განისაზღვრა ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარე სოფლის მოსახლეობისთვის ერთჯერადი დახმარება, თითოეული ოჯახისთვის 200 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გამო 16,400 ლარით გაიზარდა მუნიციპალური ბიუჯეტი.

საკრებულოს მიერ 8 ივნისს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, საწარმოთა ქონების გადასახადებიდან შემოსული 77,100 ლარი გამოიყო ერთჯერადი დახმარებების გასაცემად. 13 აგვისტოს ცვლილებების შედეგად, ადგილობრივი ქონების გადასახადებიდან შემოსული თანხის გარკვეული ოდენობა, 100,000 ლარი განაწილდა ჯანდაცვის სფეროში ერთჯერადი დახმარებების გასაცემად.

კასპის მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაციისათვის 90,500 ლარით გაიზარდა ბიუჯეტი, აქედან 17,195 ლარი რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან გამოეყო კასპის ბიუჯეტს. დანარჩენი თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში სანქციებიდან და საურავებიდან მიღებული თანხების საფუძველზე დაფინანსდა. 19 ივლისს გახორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ქ. კასპში სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაემატა 750,000 ლარი ადგილობრივი მოსაკრებლების ხარჯზე, ხოლო 13 აგვისტოს დამატებით გამოიყო ამ ტიპის პროექტების განსახორციელებლად 130,000 ლარი.

გორი

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით, სოციალური პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში სარიტუალო

მომსახურების ხარჯების ანაზღაურება; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება. გამოიყო მხედველობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლო) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 ლარის ოდენობით, სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე მნიშვნელოვნად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული უხუცესების ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №952-ე განკარგულებით გამოიყო 2,362,910 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. გზების მშენებლობა-რეკონსტრუციისთვის ქ. გორში მოხდა არაფინანსური აქტივების ზრდა 11,952 ლარით.

ხაშური

2018 წლის 8 მაისის N50 დადგენილებით ცვლილება შევიდა ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის N952-ე განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500,000 ლარი გზების რეაბილიტაციისთვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 აგვისტოს N72 დადგენილების საფუძველზე, სახელმწიფო, ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 225,000 ლარი მიიმართა შემდეგი პროგრამების განსახორციელებლად - გამოიყო თანხა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 95,000 ლარის ოდენობით; „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, 125,000 ლარის ოდენობით; ხოლო სარიტუალო მომსახურების განსახორციელებლად 5,000 ლარის ოდენობით.

ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ცვლილებები, ძირითადად, ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეეხო. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 314,864 ლარი გზების რეაბილიტაციისთვის. ასევე შევიდა ცვლილება ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის დადგენილებაში, კერძოდ: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4,811,902 ლარი.

ასპინძა

24 აგვისტოს, ასპინძის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ცვლილებებით განისაზღვრა შემდეგი პროგრამების დაფინანსება - ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია-ექსპლუატაციისთვის გამოიყო 6,630,400 ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში, გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების რეაბილიტაცია), მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების

რეაბილიტაცია. გაიზარდა დაფინანსება განათლების პროგრამის დასაფინანსებლად 421,000 ლარის ოდენობით და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა. ასევე, გამოიყო 872,600 ლარი კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტული ტრადიციების დაცვისა და მათი განვითარებისთვის.

ონი

ონის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ცვლილებები ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროგრამებს შეეხებოდა, თუმცა ასევე დაიგეგმა მუნიციპალიტეტის ცალკეული პრიორიტეტული სოციალური პროგრამების დაფინანსება. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, ხანდაზმულთა სოციალური დაცვის მიზნით ფულადი შემწეობის გაცემას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტ ბავშვზე) დახმარებას. მაისში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სოფელ უწერში მინერალური წყლის კეთილმოწყობისათვის გამოიყო 73,078 ლარი. გადასასვლელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 160,531 ლარი, ხოლო გზების რეაბილიტაციისთვის 208,688 ლარი.

მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ცვლილებები, ძირითადად, სოციალურ პროგრამებს შეეხო. მესტიის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამა გაიზარდა 120,000 ლარით. განისაზღვრა ერთჯერადი დახმარება ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის, ასევე, გამოიყო თანხა სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

თერჯოლა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 27 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ინფრასტრუქტურული, ჯანდაცვის და სოციალური პროექტების განხორციელება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული სასმელი წყლის მილების შეცვლის, მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენისთვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტისთვის განისაზღვრა დაფინანსება 20,952 ათასი ლარის ოდენობით. ასევე დაიგეგმა მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა. ცვლილებების საფუძველზე, ქალაქ თერჯოლაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც სარგებლობდა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფილი იქნება პროდუქტებით ან შესაბამისი თანხებით. ასევე განისაზღვრა დახმარება ეპილეფსიით და ლეეკემიით დაავადებულ და დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარებისთვის.

ზესტაფონი

24 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებებით, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების, კერძოდ კი, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკებისა და მრავალსართულიანი

საცხოვრებელი კორპუსების შეკეთებისთვის გამოყო 823,770 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტში დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად 15,500 ლარი, რის ფარგლებშიც დაიგეგმა ზესტაფონის ტერიტორიაზე არსებულები სკვერების, გაზონების და ბაღების მოვლა პატრონობა და გამწვანების ორგანიზება.

კულტურის განვითარების ხელშეწყობისთვის განისაზღვრა 10,082 ლარის დამატება. კულტურული ტრადიციების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით არსებული პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა.

სამტრედია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით, ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის გამოიყო 9,949,400 ლარი. დაიგეგმა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია.

ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, რისთვისაც გამოიყო 1,761,000 ლარი.

2018 წლის მაისიდან მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივ სოციალურ პროგრამებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით განხორციელდა ცვლილება, კერძოდ ერთჯერადი ფინანსური დახმარების მუხლი გაიზარდა 100,000 ათასი ლარით.

ხონი

ხონის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის გამოიყო 469,689 ლარი, რის საფუძველზეც დაიგეგმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა აგრეთვე განათლების დაფინანსება, ასევე გამოიყო თანხა საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისა და მათი სათანადო ინვენტარით უზრუნველყოფისთვის.

ტყიბული

ტყიბულის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, გაიზარდა სოციალური დაცვისთვის გამოყოფილი თანხები 388,300 ლარიდან 400, 000 ლარამდე.

საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების რეაბილიტაციისთვის ბიუჯეტი გაიზარდა 17,900 ლარიდან 47,810 ათას ლარამდე, ხოლო საბინაო კომუნალური მეურნეობის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა 10,787 ლარიდან 23,686 ლარამდე, ძირითადად, სახელმწიფოს ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების ხარჯზე.

დასვენებისა და სპორტის პროგრამაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე ბიუჯეტის ზრდა მოხდა, როგორც სახელმწიფო ტრანსფერის, ასევე შიდა შემოსავლების ზრდის ხარჯზე. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის თანხა 30,000 ლარიდან 40,000 ლარამდე გაიზარდა.

ქუთაისი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ცვლილებებით, შეიცვალა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხები. ინფრასტრუქტურული პროგრამის ქვეპროგრამაში გამოიყო თანხა საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო საქმიანობის განსახორციელებლად, ასევე ქალაქში საგზაო უსაფრთხოების, სანიაღვრე სისტემის მოსაწესრიგებლად. აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად 12,439 ლარით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის პერიოდული რეაბილიტაციისა და მშენებლობისთვის გამოიყო დაფინანსება 10,784 ლარის ფარგლებში.

ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები ასევე შეეხო სოციალური ხასიათის პროგრამებს. 285, 000 ლარით გაიზარდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საცხოვრებლის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით არსებული ნაშთიდან, 144,500 ლარი სუბსიდიის სახით გამოეყო ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას“, ხოლო 48,800 ლარი კი განისაზღვრა რეგიონალური პროექტების განსახორციელებლად. საკრებულოს მიერ ივლისის თვეში განხორციელებული ცვლილებებით, თავისუფალი ნაშთიდან 265,000 ლარი გამოიყო რეგიონული პროექტების დასაფინანსებლად. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად კულტურული ღონისძიებების დაფინანსება, ასევე დაიგეგმა სოციალური პროექტების განხორციელება, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა. არსებული რესურსების ფარგლებში განხორციელდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფა.

ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4 მაისის დადგენილებით, ცვლილებები განხორციელდა სოციალურ პროგრამაში. გაიზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით. ცვლილებები შეეხო ასევე ინფრასტრუქტურულ პროექტებს - 207,700 ათასი ლარით გაიზარდა გზების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამა, ხოლო 107,800 ლარით წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პროგრამა.

2018 წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა 387,453 ლარის ოდენობით. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 434,247 ლარის ოდენობით.

წალენჯიხა

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის N957-ე განკარგულებით 2017-2018 წლებში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 695,000 ლარი. აღნიშნული თანხიდან 620,500 ლარი გადანაწილდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების არაფინანსური აქტივების დასაფინანსებლად.

გარდაბანი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა სამი ცვლილება, რომლის შედეგადაც ბიუჯეტი გაიზარდა 4,058,300 ლარით. ცვლილებები ძირითადად შეეხო ჯანდაცვის, სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს. სოციალური უზრუნველყოფისთვის განისაზღვრა დამატებით 5,000 ლარის გამოყოფა. სხვა ხარჯების მუხლი გაიზარდა 40,200 ლარით და შეადგინა 429,700 ლარი. ხოლო სუბსიდიის მუხლი გაიზარდა და 135,000 ათასი ლარით და შეადგინა 6,832,1 ათასი ლარით.

დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ცვლილებები ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეეხებოდა. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხები 947,000 ლარით გაიზარდა. გამოიყო თანხა წყლის სისტემების რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციისთვის

მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ცვლილებები ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეეხო. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისიწინებული ასიგნებები შემცირდა 26,500 ლარით რაც დაემატა საგზაო-ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის ხარჯებს.

მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის გამოიყო 4,600 ლარი. ბიუჯეტის ცვლილება ძირითადად ტრანსფერების ხარჯზე მოხდა, აქედან 177,000 ლარი მიმართული იქნა ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად, ხოლო ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისთვის გამოიყო 124,246 ლარი.

თბილისი

2017 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებულ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში განხორციელდა 2 ცვლილება. კერძოდ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 ივნისის N21-74 -ე და 2018 წლის 27 ივლისის N24-79-ე დადგენილების საფუძველზე. არაფინანსური აქტივების ნაწილში ბიუჯეტი 130,789 ლარის ოდენობით გაიზარდა, გამოიყო თანხა საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისა და

რეკონსტრუქციისთვის 25,084 ლარის ოდენობით. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მოხდა 142,317 ლარით, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის გამოიყო 84,906 ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა რეკონსტრუქცია 25,084 ლარი.

XII. სადამკვირვებლო მისია და მეთოდოლოგია

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგს საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქში 69 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებს.

წინასაარჩევნო პერიოდის დაკვირვების ძირითადი მიმართულებები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა;
- საარჩევნო სუბიექტების საჯარო შეხვედრები და პოლიტიკური საქმიანობა;
- ზეწოლა/მუქარის ან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევები;
- ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო ფაქტები;
- ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევები;
- ამომრჩეველთა სიების ფორმირება და სხვ.

მონიტორინგის პროცესში, ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, ასევე, უშუალოდ, საარჩევნო სუბიექტებისგან, მედია-საშუალებებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან და მოქალაქეებისგან მიღებული ინფორმაცია. „სამართლიანი არჩევნების“ მიერ მოპოვებული თითოეული ფაქტი მოწმდება უშუალო თვითმხილველებთან და შემთხვევის მონაწილე მხარეებთან.

„სამართლიანი არჩევნები“ პერიოდულად ახდენს საზოგადოების ინფორმირებას წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილი დარღვევებისა და დაფიქსირებული ტენდენციების შესახებ განცხადებებისა და ანგარიშების მეშვეობით.

წინასაარჩევნო პერიოდის ინციდენტებისა და სავარაუდო დარღვევების თითოეული ფაქტის შესახებ ინფორმაციას „სამართლიანი არჩევნები“ ასევე აქვეყნებს საქართველოს არჩევნების პორტალის ინციდენტების ინტერაქტიულ რუკაზე მისამართზე: http://www.electionsportal.ge/.

არჩევნების პორტალზე ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია თავადაც გამოაგზავნოს სავარაუდო საარჩევნო დარღვევის შესახებ ინფორმაცია SMS-ის მეშვეობით უფასო ნომერზე **90039** ან ვებ-პორტალზე: http://www.electionsportal.ge/geo/new_incident.

„სამართლიანი არჩევნები“ წინასაარჩევნო პერიოდზე დაკვირვებას ახორციელებს შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) მხარდაჭერით.